საგამოცდო საკითხები ძველ აღთქმაში

1. სეპტუაგინტისა და მასორეტული ტექსტების ისტორია.

2. ბიბლიის ქართულენოვანი თარგმან-რედაქციები და მათი მოკლე მიმოხილვა.

3. ძველი და ახალი აღთქმის ცნობილი ეგზეგეტები.

4. დროისა და სივრცის კატეგორიები სამყაროს შექმნის პროცესში ბიბლიის მიხედვით.

5. სტიქიები და მათთან ქმნილებათა კავშირი.

6. ქმნილებათა მრავალფეროვნების გამომწვევი მიზეზები.

7. ადამიანი და მისი საარსებო გარემო.

8. ადამიანის ადგილი ხილულთან და უხილავთან მიმართებით.

9. ედემის ბაღში არსებული ქმნილებები, მათი დანიშნულება და ადამის მისია.

10. ადამიანის აგებულება, ხატებისა და მსგავსების განმარტება.

11. ცოდვით დაცემის მიზეზები, თანამიმდევრობა და შედეგები; პირველი საცდური.

12. პირველი აღთქმა.

13. სამოთხიდან გაძევება; ცეცხლოვანი და მბრუნავი მახვილის მნიშვნელობა; სამოთხეში დაბრუნების პირობა.

14. სეითისა და კაენის მოდგმა და მათი გენეალოგიების შედარება.

15. ღვთის ძეები და ადამიანთა ასულები; მათი აღრევის მიზეზები და შედეგები.

16. წარღვნა და ნოეს კიდობანი - ღვთის განგების ორგვარი გამოვლინება.

17. წმინდა და არაწმინდა ქმნილებები; მტრედი და ყორანი.

18. ქამი და ქანაანი; სემი და იაფეტი. ნოეს მიერ შვილების კურთხევა.

19. ბაბილონის გოდოლი; პირველი სახელმწიფო; მართალთა მოდგმის გენეალოგია.

20. ღვთის მიერ აბრაამის გამორჩევა; ღმერთთან აბრაამის ურთიერთობის ეტაპები.

21. უფლის მოსვლა აბრაამთან; ისმაელი და ისააკი.

22. ლოთის არჩევანი და მისი შედეგები.

23. ისააკის მიერ იაკობის კურთხევის გარემოებები; ესავი და იაკობი.

24. იოსები და მისი ძმები.

25. იაკობის მიერ შვილების კურთხევა.

26. ღვთის მიერ მოსე წინასწარმეტყველის მოწოდება მაყვლოვანიდან; ფარაონის წინაშე მასთან ეგვიპტელ ქურუმთა დაპირისპირება.

27. მეწამული ზღვის გავლა ისრაელის მიერ; ღვთის განგების ნიშნები უდაბნოში მოგზაურობისას.

28. სინის მთაზე მიღებული სჯულის შემადგენელი ნაწილები.

29. იორდანის გადალახვა და სხვა სასწაულები აღთქმული ქვეყნის დაპყრობის დროს.

30. მსაჯულთა ხანა; გედეონი და სამსონი.

31. ილი და სამოელი.

32. ებრაელთა მოთხოვნა მეფის კურთხევისა.

33. მეფეთა ხანა; საული და დავითი.

34. ცოდვები და სასჯელები; ღვთის ნება, განგება და ადამიანის თავისუფალი ნება; თამარი, რექაბი და რუთი.

35. მეფე დავითის ფსალმუნნი და წინასწარმეტყველებანი ქრისტეზე.

36. მეფე სოლომონი და მისი წიგნების მიმოხილვა.

37. სამეფოს ორად გაყოფა; მიზეზები და შედეგები.

38. ბაბილონის ტყვეობაში ებრაელების ყოფნის მისია; სამი ყრმა და დანიელ წინასწარმეტყველი.

39. ნეემია და ეზრა.

40. სინაგოგური პერიოდი; მესიის მოლოდინი.

შენიშვნა: საგამოცდო ბილეთებში შეტანილი იქნება სამ-სამი საკითხი, ორი - ძველი აღთქმიდან, ხოლო ერთი - ახალი აღთქმიდან.

საგამოცდო ბილეთის ნიმუში:

1. სეპტუაგინტისა და მასორეტული ტექსტების ისტორია.
2. უფლის მოსვლა აბრაამთან; ისმაელი და ისააკი.
3. იესო ქრისტეს მიერ მოციქულთა გამორჩევის საფუძველი; ზოგადად - ახალაღთქმისეული სამოციქულო მსახურების შესახებ.